ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება №18-5/7/14

ქ. ქუთაისი „30“ „აპრილი“ 2014 წ.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ქ. ქუთაისი, თამარ მეფის ქ. №59), რექტორის **პროფესორ გიორგი ღავთაძის** (შემდგომში – „მიმწოდებელი“) ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრის დირექტორის **მარინა კვიკვინია** (შემდგომში – „შემსყიდველი“) სახით, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას ურთიერთანამშრომლობის შესახებ შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 „მიმწოდებელის“ ტრენერები ჩაუტარებენ ტრენინგს „შემსყიდველის“ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების თანამშრომლებს.

მუხლი 2. „შემსყიდველის“ უფლება-მოვალეობანი

2.1. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

2.1.1. დააზუსტოს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების ცალკეული გარემოებები, რომელიც არსებითად არ ცვლის ხელშეკრულების პირობებს.
2.1.2 წინასწარ გაეცნოს ჩასატარებელი ტრენინგის თემატიკას და საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს მასში ცვლილების შეტანა წერილობითი სახით ტრენინგამდე 2 კვირით ადრე.

2.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

2.2.1. დროულად მიაწოდოს „მიმწოდებელს“ ტრენინგზე დამსწრეთა სია (არანაკლებ 16 ადამიანისა) ტრენინგის დაწყებამდე არაუგვიანეს 5 დღით ადრე.

2.2.2. უზრუნველყოს ტრენინგზე დამსწრეთა დროული გამოცხადება.

2.2.2. უზრუნველყოს „მიმწოდებელის“ შრომის ანაზღაურება ფაქტიურად ჩატარებული სამუშაოს მიხედვით.

2.2.4. უზრუნველყოს ტრენერების მგზავრობა, განთავსება და ტრენინგის მონაწილეთა კვება.

2.2.5. უზრუნველყოს დასაქმებულის შრომის ანაზღაურება ფაქტიურად ჩატარებული სამუშაოს მიხედვით.

მუხლი 3. „მიმწოდებლის“ უფლებები და მოვალეობები:

3.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

3.1.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობითა და პირობებით მოითხოვოს და მიიღოს შესაბამისი ანაზღაურება.

3.2. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

3.2.1. გადაამზადოს ზუგდიდის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების წარმომადგენლები სკოლამდელი განათლების რეფორმის მოთხოვნების შესაბამისად.

3.2.2. ტრენერი 2 დღის (4-5 მაისი) განმავლობაში იმუშავებს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების წარმომადგენლებით დაკომპლექტებულ 28 კაციან ჯგუფთან.

მუხლი 4. შრომის ანაზღაურება

4.1. „შემსყიდველი" „მომწოდებელს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებისათვის ტრენინგის თითოეულ მონაწილეზე გადაუხდის 40 (ორმოცი) ლარს.
4.2 „შემსყიდველი" თანხის სრული რაოდენობის 1120 ლარის ჩარიცხვას უზრუნველყოფს ტრენინგის ჩატარებამდე 7-10 დღით ადრე.

მუხლი 5. დასკვნითი დებულებები

5.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება „შემსყიდველთან", ერთი – „მომწოდებელთან". ორივე ეგზემპლარს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა

5.2. ხელმოწერებით მხარეები ადასტურებენ თანხმობას ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებზე და იღებენ პასუხისმგებლობას მის შესრულებაზე.

5.3 ხელშეკრულება ძალაშია ხელის მოწერიდან 2 თვის განმავლობაში

მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი"

ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი

მის: ზუგდიდი, რუსთავლის ქ. № 87 ს/კ 200406273
ს.ს. ლიბერთი ნაბკის ზუგდიდის ფილიალი ბ/კ 220101464

ანგ. № GE86LB0115124334927000

თავმჯდომარე: მ. კვიკვინია

„მიმწოდებელი":

სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქ. ქუთაისი თამარ მეფის ქ. №59
ს.ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია UGEBGE22
ა/ნ GE60VT0500000009993408 ს/კ 212693049
სკოლამდელი დაწესებულების თანამშრომელთა ტრენინგი ზუგდიდში

რექტორი: გ. ღავთაძე